



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 495/ს
02/12/2022

495-21-4-202212021219



ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნარაზენის ტერიტორიაზე, შპს „საქართველოს მოსავალის“ სამელიორაციო სისტემის (სარწყავი) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „საქართველოს მოსავალის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნარაზენის ტერიტორიაზე სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, შპს „საქართველოს მოსავალს“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნარაზენის ტერიტორიაზე, კომპანიის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 158 000 მ² ფართობის მქონე (15.8 ჰა) მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 43.12.47.554), დაგეგმილი აქვს ლურჯი მოცვის ბაღის (44 500 ნერგი) გაშენება და წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობა. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 160 მეტრით, ხოლო ტუმბოს განთავსების ადგილიდან 620 მეტრით. ზედაპირული წყლის ობიექტი მდ. უმპია მიედინება ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან 220 მეტრში. უახლოესი დაცული ტერიტორია კოლხეთის ეროვნული პარკი დაშორებულია 20 კმ-ით, ხოლო სახელმწიფო ტყე 10 მეტრით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, შპს „საქართველოს მოსავალს“ მოცვის ნერგების მოსარწყავად წყალაღება გათვალისწინებული აქვს შპს „ლურჯი მოცვი საქართველოდან“ ტერიტორიაზე განთავსებული რეზერვუარიდან, ხელშეკრულების საფუძველზე. შპს „საქართველოს მოსავალის“ ტერიტორიაზე განთავსებული არ იქნება წყლის შეგროვებისათვის გათვალისწინებული რეზერვუარი. დოკუმენტის თანახმად, შპს „ლურჯი მოცვი საქართველოდან“ ტერიტორიაზე განთავსებული რეზერვუარიდან წყალი თვითდინებით გადავა მის მიმდებარედ განთავსებულ სანასოსე ოთახში არსებულ იტალიური წარმოების ტუმბოს, (სიმძლავრე - 7.5 კვტ, წარმადობა 15მ³/სთ), ხოლო ტუმბოდან, 63 მმ დიამეტრის მქონე მიწისქვეშა მილით მიეწოდება, შპს „საქართველოს მოსავალის“ ტერიტორიაზე - სანასოსე ოთახში ტუმბოს (GPS კოორდინატები: X- 740296, Y- 4704167). ტუმბოს სიმძლავრე იქნება 5.5 კვტ, ხოლო წარმადობა 15 მ³/სთ. შემდგომ შპს „საქართველოს მოსავალის“ ტერიტორიაზე, წყალი მიეწოდება წვეთოვან სარწყავ სისტემას. ბაღის ტერიტორიაზე შიდა დაქსელვა განხორციელდება პოლიმერული მილებით (დიამეტრი-16 მმ), რომლებიც აღჭურვილი იქნება კომპენსირებადი საწვეთურით ყოველ 0.5 მ-ში. მოცვის ბაღის ტერიტორიაზე დაქსელვის სიგრძე ჯამურად შეადგენს 3562 მეტრს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ლურჯი მოცვის ნერგების მორწყვა განხორციელდება მთელი წლის განმავლობაში. ზაფხულის თვეებში ყოველდღიურად, ხოლო წლის სხვა დროს სამ დღეში ერთხელ. დასარგავი ნერგების რაოდენობის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობისათვის გამოსაყენებელი წყლის მოცულობა წელიწადში შეადგენს დაახლოებით 5000 მ³-ს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებს. პროექტით განსაზღვრული სამუშაოების განხორციელების პროცესში სამშენებლო ბანაკისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა დაგეგმილი არ არის. მოწყობის სამუშაოებისას პირველ რიგში განხორციელდება მიწისქვეშა მიწისათვის განკუთვნილი თხრილების მომზადება ექსკავატორის გამოყენებით, სადაც ჩალაგდება მიწები და დაიფარება მიწით, რომელიც ამოღებული იქნება თხრილების მომზადებისას. რაც შეეხება სანასოსე ოთახს, იქნება მარტივი ტიპის კონსტრუქცია და საძირკველის მოწყობას ან/და მძიმე ტექნიკის ტერიტორიაზე მუშაობას ადგილი არ ექნება. სამელიორაციო სისტემის მოწყობის დროს ადგილი არ ექნება მძიმე სამშენებლო სამუშაოების წარმოებას და სხვა პირების კერძო საკუთრების დაზიანების ფაქტებს. მოწყობის სამუშაოები განხორციელდება უშუალოდ შპს „საქართველოს მოსავლის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში. საპროექტო ტერიტორიამდე მიდის არსებული, ასფალტირებული გზა, რომელიც დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და არ საჭიროებს სარემონტო ან მოწყობის სამუშაოებს. სამელიორაციო სისტემის მოსაწყობად გათვალისწინებული სამუშაოები გაგრძელდება 5-10 დღის განმავლობაში.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სტაციონარული წყაროების გამოყენებას. როგორც უკვე აღინიშნა, სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული იქნება მხოლოდ ერთი ექსკავატორი. შესაბამისად, სარწყავი სისტემის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის (5-10 დღე) გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება სამელიორაციო სისტემის ფუნქციონირებას, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, იგი არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების პროცესში, დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბის, ხანგრძლივობისა (5-10 დღე) და გამოსაყენებელი ტექნიკის (1 ექსკავატორი) გათვალისწინებით, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, სამელიორაციო სისტემის მოწყობა განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში. რაც შეეხება სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის ეტაპს, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება კომპანიის ტერიტორიაზე განთავსებული ერთი ტუმბო. უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე დაშორების მანძილისა (620 მ) და ტუმბოს სიმძლავრის (15 მ³/სთ) გათვალისწინებით, სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, სარწყავი სისტემის მოწყობის ეტაპზე სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. თუმცა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული ნარჩენი შეგროვდება სეპარირებულად და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. სამელიორაციო

სისტემის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი ექსკავირებული გრუნტი, გამოყენებული იქნება უკუყრისთვის. ექსპლუატაციის ეტაპზე, ბაღის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენის წარმოქმნის შემთხვევაში, აღნიშნული ნარჩენი განთავსდება შესაბამის კონტეინერში და გადაეცემა მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურს.

დოკუმენტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია წლების მანძილზე განიცდიდა ანთროპოგენურ ზემოქმედებას, გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით და თავისუფალია ხე-მცენარეული საფარისაგან. სამელიორაციო სისტემის მოწყობის სამუშაოების განხორციელებისას ადგილი არ ექნება ცხოველთა საბინადრო ადგილების მოშლას და მათ უშუალო განადგურებას. ძირითადად ზემოქმედებას დაექვემდებარება ტერიტორიის განაპირა საზღვრებზე შემჩნეული მცირე ზომის მინდვრის თავგები და ქვეწარმავლები. ზემოქმედება გამოიხატება მათ შეშფოთებაში და დროებით მიგრაციაში. აღნიშნული ტერიტორია არ წარმოადგენს ფრინველებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ადგილს. უშუალოდ ტერიტორიის გავლენის ზონაში ფრინველების საბუდარი ადგილები არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, საქმიანობა არ არის დაკავშირებული ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან. ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების, არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს.

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 10 მეტრში მდებარეობს სახელმწიფო ტყე. საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს სახელმწიფო ტყეზე ზემოქმედებას.

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე უშუალოდ შპს „საქართველოს მოსავალი“ არ აპირებს მდინარიდან წყლის ამოღებას და წყლის შეგროვებისათვის რეზერვუარის განთავსებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაეგზავნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობისა და მასშტაბის გათვალისწინებით, სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნარაზენის ტერიტორიაზე შპს „საქართველოს მოსავალის“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. შპს „საქართველოს მოსავალი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საქართველოს მოსავალს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს მოსავალის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო